წ. I 1915 წ. პარასკევი 15 მაისი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ც ა ლ კ ე ნ უ მ ე რ ი ე რ თ ი შ ა უ რ ი. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტის წინ 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 ს ა ა თ ს შ ე მ დ ე გ 4 მან.

№ 79 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 79

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნი ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

---

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო"

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".**

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

---

დანიელ გიორგის ძე მახარაშვილი, გაიანე გიორგის ასული პაპუაშვილისა, ვერა პეტრეს ასული მახარაშვილისა, ნიკოლოზ თემურაზის ძე ქორქოლაძე და გედეონ ბაგრატის ძე პაპუაშვილი გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ პატივცემულს **ქუთაისის საზოგადოებას, მის პირად მეგობართ, ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას კბილის ექიმის.**

### პორფილე გიორგის ძის მახარაშვილისას.

პირველის ორის ძმისას, მესამის მაზლისას, ხოლო დანარჩენის ორის ცოლის ძმისას. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე, ბალახვანის ქუჩაზე, გარდაცვალებულის ბინაზე; მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება მაისის 15-ს, დილით პარასკევს, საღამოს 4 საათზე, ქუთაისის საფიჩხიის სასაფლაოზე, რაზედაც გთხოვთ პატივი გვცეთ და მობძანდეთ. კერძო წერილები არ დაიგზავნება.

2—2

---

**ტერეზი იოსების ასული ვაჩაძისა, სალომე იოსების ასული ბენდუკიძისა, ანა იოსების ასული ბენდუკიძისა, მარიამ იოსების ასული ჭოხონელიძისა, ივლიტა ლევანის ასული ვაჩაძისა** შვილებით: **ალექსანდრე, იოსებ, დავით, გიორგი, სამსონ ფარნაოზის ძენი, მარიამ ფარნაოზის ასული და ვარვარა ფარნაოზის ასული აბულაძისა** აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთა და მეგობართ, პირველნი საყვარელი მამისა, მეორე მამამთილისა და უკანასკნელნი დაუვიწყარი ბაბუის

### იოსებ გიორგის ძის ვაჩაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს $6^1/_2$ საათზე. გამოსვენება კვირას, 17 მაისს, საღამოს 4 საათზე, საკუთარ სახლიდან, თფილისის ქუჩაზე.

3—1—217

---

დედა ელისაბედ ივანეს ასული ფილიპოვისა, ძმები: ფილიპე სიმონის ძე ფილიპოვი მეუღლით—ნინო ბერძენიშვილის ასული, გრიგოლ და იაკობ სიმონის ძენი ფილიპოვები ოჯახობით, დები: ელისაბედ შაანოვისა და ეკატერინე ნებიერიძისა, სიძეები: მღვდელი ალექსანდრე შაანოვი და ბაგრატ ნებიერიძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას

### ლევან სიმონის ძის ფილიპოვისას.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე. გამოსვენება ბინიდან გენერლის ქუჩა, სახლი ბადრიძისა—კათოლიკეთა ეკლესიაში პარასკევს, 15 მაისს, დილის 9 საათზე. დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. ცალკე წერილები არ დარიგდება.

1—1

---

**ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა განაცხადებს, რომ საზოგადოების**

### წლიურ ჩვეულებრივი კრება

დანიშნულია ქუთაისის ქალაქის საბჭოს დარბაზში, **შაბათს 16 მაისს, საღამოს 8 საათზე,** 1915 წლ., ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც არ შედგა 7 ამა თვისას.

**გ ა ნ ს ა ხ ი ლ ვ ე ლ ი ს ა გ ნ ე ბ ი:**

1) განხილვა წლიური ანგარიშისა.
2) განხილვა მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვისა.
3) შემუშავება მომავალ წლის გამგეობის მოქმედების გეგმისა.
4) არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა და უკანასკნელთა კანდიდატებისა.

---

დაიბეჭდა და იყიდება ქ. **ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

## „НОВОЕ СЛОВО"

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი უდით 2 აბაზი.**

---

ელექტრო-თეატრი **„რ ა დ ი უ მ ი"**

ხუთშაბათიდან, 14 მაისიდან, ახალი დიდი პროგრამა

## — გომონის ქრონიკა № 42 —

სენსაციური სურათი „ნორდისკისა".

## ცხოვრება არ იცდის

ძლიერი დრამა სამ ნაწილათ, გამოცემა ცნობილი ქარხნის „ნორდისკისა" კოპენჰაგენში. სურათი ნაჩვენები იქნება გამოჩენილ მსახიობის **იონზანსენის** მონაწ.

## — სიყვარულის ჭია —

ძლიერ კომიკური სურათი. დასაწყისი საღამოს $6^1/_2$ საათზე.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 18 მაისიდან ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი **ბ ე დ ი ს - ა მ ა რ ა.** მხატვრული დრამა 4 ნაწ. პიერ-სალიას ცნობილი რომანიდან.

---

**ქალაქის თეატრში შაბათს, 16 მაისს, გამართული იქნება**

**— სალიტერატურო დრამატიული საღამო —**

ბ. ალ. გარსევანიშვილი ისაუბრებს მეთვრამეტე საუკუნის საქრთველოს ისტორიიდან **„ქართველი ქალი მაია".** პირველად ახალი კომედია **ომი ოსმალოსთან.** 1 მოქმ. ვ. ურუშაძისა. მონაწილეობენ: ქ.ქ. მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, ბ.ბ. ბარველი, ა. მგალობლიშვილი, ა. ყალაბეგიშვილი, ვ. ურუშაძე, დ. ჩხეიძე.

**ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა**

მონაწილეობენ: თ. ნ. მ. ლორთქიფანიძე, ბ.ბ. ვარლამ რუხაძე, გალაკტიონ ტაბიძე და ნოე ჩხიკვაძე. უფ.

---

**ქუთაისის საზოგადო საკრებულო. შაბათს, 16 მაისს 1915 წ. საკრებულო დარბაზში** შესდგება

## უკანასკნელი საღამო

საზამთრო შენობაში

**1. ვოდევილი ქართულ ენაზე, 2. რუმინული ორკესტრი, 3. ცეკვა და ლოტო**

შესვლის ფასი: კაცები იხდიან თითო მანეთს, ქალები 50 კ. წევრები და მათი სტუმრები უფასოთ. 25 პროც. გადადებულია მეომართა ოჯახების სასარგებლოთ.

**დასაწყისი საღამოს 9 სათზე. მამასახლისთა საბჭო.**

---

ბ. ა რ ა დ ე ლ - ი ო შ ხ ნ ე ლ ი ს წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა.

**— ქუთაისის თეატრი. —**

პარასკევს 15 მაისს, 1919 წ. **წარმოდგენილი იქნება რუსულ ენაზე.**

## ღ ა ლ ა ტ ი

ტრაგედ. 5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა.

მონაწილეობენ: მ. ლიტვინოვა, კასოვსკაია, კორალლი, ნიკიტინა სლავსკი, არადელი-იოშხნელი, ჩარკვიანი, ბარველი, მგალობლიშვილი, კოლპაკოვი, ბრატსკი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.**

გამგე გ. იოშხნელი.

---

ანონსი.

კვირას, 17 მაისს, ქალაქის თეატრში გაიმართება

**დიდი სალიტერატურო-დრამატიულ-მუსიკალურ-იუმორისტიული,**

## ს ა ღ ა მ ო

საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

ანონსი.

---

**გაბრიელ იოსების ძე**

**ექიმი გოკიელის**

**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელი**

ამ ზაფხულს რჩება ქუთაისში და განაგრძნობს ავადმყოფების მიღებას ძველ ბინაზე დანიშნულ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, საკუთარი სახლი. 7—2

---

**ექიმი მ. ტ. მულინი** გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ლებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დილით 2—3, საღ. 7—8. თ.

---

**კაბინეთი** მასსაჟის და სამკურნალო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა **მ. ტ. ბალანჩივაძისა** ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი **ოფთქლის ვანა,** რომელიც სპობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. **აგრეთვე ვუცრი ყვავილს.** ავათმყოფების მიღება დილის 9—2 დე და საღამოს 4—6 საათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი ადგილზე გაიგება. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიევოვის სახლში. (თ.)

---

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე-მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდი და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

---

**კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ე ბ ი**

## მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.

დ რ ო ე ბ ი თ ბ ა თ ო მ ი დ ა ნ გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

**დ. ყვირილაში.**

## სტუდენტი

## ვარლამ ფერაძე

(9 წ. პრაქტიკით) პირველ მაისიდან **ვამზადებ** მოწაფეებს, ქალებს და ვაჟებს, ყველა საგნებში დაბალ და საშუალო სასწავლებლების კლასებისათვის. აგრეთვე სიმწ. მოწმ. აფთიაქის მოწაფეებს, მასწავლებლებს, 1 კლ. ჩინზე და სხ.

**მისამართი:** ყვირილა, პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ახლოს, დათა ყუბარაძის სახლი. 14—12—187

---

# ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 12 მაისი. სამხედრო უწყების მიმოხილვა. 9 მაისს ჩერნიკუვა დოლუბონას რაიონში ჩვენმა რაზმმა დაიკავა მტრის პოზიცია. ჯერ-ჯერობით დავითვალეთ 41 ტყვე აფიცერი, 1500 ჯარისკაცი, 7 ტყვიისმტყორცნელი, ერთი პროჟექტორი და მრავალი სამხედრო სურსათი. 11 მაისს სტრიის გზით მტერი მოქმედებას არ იჩენდა. 10 მაისს საღამოთი გერმანელებმა სროლა დაუწყეს ჩვენ რაზმებს ნოიჰოფის რაიონში და 10 მაისს იერიში მოიტანეს, მოვიდენ ჩვენ მავთულებიან სიმაგრემდე, მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა მტრის რაზმი გაფანტა. დნესტრის რაიონში ამ დღეებში მხოლოთ აქა-იქ უმნიშვნელო არტილერიის სროლა იყო.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**იტალიის ელჩების გასვლა ბერლინიდან და ვენიდან.**

**რომი.** 12 მაისი. ბერლინისა და ვენის იტალიის ელჩები გუშინ შვეიცარიით იტალიაში დაბრუნდენ.

**ავსტრიელ ნაღმოსანთა მოქმედება.**

**რომი.** 12 მაისი. დამტკიცდა, რომ ავსტრიელ ნაღმოსნებს, რომლებმაც ბარლეტას ესროლეს, ინგლისის ბაირაღები ქონდათ.

**შვეიცარიის ნეიტრალიტეტი.**

**სტოკჰოლმი.** 13 მაისი. გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის მთავრობებმა აცნობეს შვეიცარიის მთავრობას, რომ ისინი შვეიცარიის ნეიტრალიტეტს არ დაარღვევენ მიუხედავათ იტალიის გამოსვლისა. შვეიცარიის კავშირის საბჭომ მიანდო თავის წარმომადგენლებს განმარტონ, რომ შვეიცარია ნეიტრალიტეტს დაიცავს. შვეიცარიის ელჩი რომში იკისრებს გერმა-

ნელთა ინტერესების დაცვას იტალიაში და შვეიცარიის ელჩი ბერლინში იკისრებს იტალიელთა ინტერესების დაცვას გერმანიაში.

**საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომა.**

**პარიზი.** 12 მაისი. დეპუტატთა პალატა. დიპლომატების ლოჟებში ზის ტიტონი. დეშანელი მოკლე სიტყვით ახასიათებს, რომ იტალია როგორც ამ 56 წლის წინათ, ისე ახლაც საფრანგეთს გვერდში უდგიაო. დეშანელის პირველ სიტყვებისთანავე დეპუტატები ზეზე დგებიან და ტიტონის მხურვალეთ ესალმებიან. შემდეგ სიტყვას ამბობს ვივიანი და ამბობს, რომ მთავრობა სალამს უძღვნის იტალიის ნაციას. ვივიანის სიტყვას ოვაციით ეგებებიან.

**ბრძოლა იპრთან**

**ლონდონი.** 12. ფრენჩის ცნობა. გუშინ იპრის აღმოსავლეთით ჩვენი ხაზის დაკარგული ნაწილი ჯერჯეროპით ისევ მტრის ხელთაა.

გერმანელთა მიერ გამოსროლილი გაზის რაოდენობა აღემატება აქამდე გამასროლ რაოდენობას. ზოგიერთ ადგილებზე გაზი 40 ფუტის სიმაღლემდე აღწევს.

**ინგლისის ახალი სამინისტრო.**

**ლონდონი.** 12 მაისი. ახალი სამინისტროს შემადგენლობა. პრემიერ მინისტრი ასკვიტი. ურესორტო მინისტრი ლენსდოუნი, ლორდკანცლერი სტენლი. საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარე--ლორდ კრიუ, სახელმწიფო ბეჭვდის მცველი—ლორდ კერზონი, ხაზინის კანცლერი—მაკკენა, შინაგან საქმეთა მინისტრი—ჯონ საიმონი, საგარეო საქმეთა მინისტრი—სერ ედვარდ გრეი, ახალშენთა მინისტი—ბონარ ლოუ, ინდოეთის სტატს-სეკრეტარი—სემიუზლენი, სამხედრო მინისტრი—ჭიტჩინერი, მინისტრი არმიის სურსათის მოსაწესრიგებლათ—ლლოდ ჯორჯი, საზღვაო მინისტრი—ბალფური, ვაჭრობის მინისტრი—ლონგი, ლანკასტერის კანცლერი ჩერჩილი, ირლანდიის საქმეთა სტატ-სეკრეტარი ბერელი. შოტლანდიის მაკინონ გუდი, მიწათ მოქმედების—სელბორნი, მუშაობის კომისარი—ჰარკორდი, განათლების—გენდერსონი, გენერალური ატორნეი ედვარდ კასონი.

**პარიზი.** 13 მაისი. არასის ჩრდილოეთით ჩვენ საგრძნობლათ წინ წავიწიეთ. ანგარის ჩრდილო-დასავლეთით კოლონის თხრილის პირდაპირ ჩვენ დავიკავეთ მტრის სიმაგრის წინ გამოწეული ნაწილი, სახელდობრ დეკორნაი. იმავე რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო მეორე გამაგრებული პოზიცია. სუშეში ჩვენ დავიკავეთ მტრის სანგრები ერთი კილომეტრის სიგრძით, რომელსაც გერმანელები ორი კვირის განმავლობაში მედგრათ იცავდენ. შარა გზის დასავლეთით ჩვენ საგრძნობლათ წინ წავიწიეთ ფონდებ იუველის თხრილთან. სუშეს სამხრეთ დასავლეთით ჩვენ ცოტათი წინ წავიწიეთ. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

**დარდანელში**

**ათინა.** 12 მაისი. წყალქვეშა ნავი, რომელიც დარდანელიდან მარმარილოს ზღვაში გაიჭრა, ინგლისელების იყო და არა ფრანგების. წყალქვეშა ნავმა ჩასძირა, ოსმალოთა ორი კონტრ-ნაღმოსანი და ექვსი სამხედრო მასალით დატვირთული გემი მოკავშირეთა ჯარი ნაგარისკენ მიეშურება. მიღებული ცნობებით ბატარეები, რომელნიც აზიის მხარეზე მოქმედებენ, ხელს უშლიან მოკავშირეთა მოქმედებას. ქალ. დარდანელი გადაიწვა. მოკავშირეთა ჯარის გადმოსხმა გრძელდება.

**ლონდონი.** 12 მაისი. ცნობა სამხედრო ოპერაციების შესახებ დარდანელში. 8 მაისს ფრანგების დივიზიამ საგრძნობლათ წინ წაიწია და ეხლა ოსმალოთა სანგრების მახლობლათ იმყოფება. 9 მაისს მტერმა მედგარი იერიში მოიტანა ინდოეთის ჯარის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ. მტერმა შესძლო დროებით დაეჭირა ჩვენი პოზიცია. კონტრიერიშის საშვალებით მალე მტერი უკუვაქციეთ, 500 კაცი მოუკალით და მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ. 10 მაისს ოსმალოებმა მოითხოვეს დროებით ზავი ჩამოგდება მოკლულთა დასამარხავათ. ჩვენ თანხმობა განვაცხადეთ და ოსმალოებმა დაასაფლავეს ჩვენი სანგრების მახლობლათ 3000 მოკლული ოსმალო, რომელნიც დაიხოცენ 5-დან 7-მდე. 10 მაისს ფრანგებმა ინგლისის საზღვაო დივიზიის დახმარებით საგრძნობლათ წინ წაიწიეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„რუსკ. ვედ." კორესპონდენტის ცნობით, ოსმალეთის მთავრობა კვლავ განაგრძობს კონსტანტინეპოლში ბერძენ და სომეხ საპატიო პირთა მასიურ დაპატიმრებას. მათ ბრალს სდებენ ჯაშუშობაში. ამ დღეებში დახვრიტეს სამი ბერძენი და ოთხი სომეხი.

— —

ამავე გაზეთის კორესპონდენტის ცნობით, ოსმალეთის მთავრობას ბრძანება გამოუცია, რომლის ძალითაც ფრაკიის მცხოვრებლებს ყველას იარაღი ჩამოერთმევა.

კონსტანტინეპოლიდან ცნობაა, თვით მუსულმანები ისე შეწუხებულები არიან მთავრობის მიერ განუწყვეტელი ტერორითა და ნემცების (უ)ღუდი მოპყრობით, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს თავის მხსნელებათ სთვლიანო.

— —

მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ კრებაზე სანდერსმა დარდანელის ფორტების უფროსს ჯევად ფაშას გამჭრიახობა დაუწუნა და მოითხოვა მის ნაცვლათ ფორტების უფროსათ დაენიშნათ მცოდნე გერმანელი აფიცერი. ახალგაზრდა ოსმალოები სანდერსის მოსაზრებას არ დაეთანხმენ იმ მოსაზრებით, რომ ამ ცვლილებამ მუსულმანებში აჯანყება არ გამოიწვიოსო.

— —

ჰააგიდან იტყობინებიან, რომ გერმანელებმა ახლახან ბრძანება გამოსცეს, ბელგიაში დახოცონ საფოსტო მტრედები. ამ დღეებში მათ დაუჭერიათ ოსტენდეში ერთი მტრედი, რომელსაც ფეხზე თოკის ნაწყვეტი ჰქონდა მიბმული და ამის გულისთვის ქალაქს ერთი მილიონი ფრანკი კონტრიბუცია დაადვესო.

— —

ათინის გაზეთებს მიტილენიდან ცნობა მიუღიათ, რომ მოკავშირეები კალიდბახრისა და მადიტოში შევიდენ, ოსმალოების ფრონტი გაარღვიეს და რადგანაც მათ გარშემორტყმა ელოდათ, კილად-ბახრი დანებდაო.

**ნეიტრალური სახელმწიფოების პოზიცია.**

იტალიის გამოსვლის შემდეგ იბადება საკითხი, თუ რა პოზიციას დაადგებიან ნეიტრალური სახელმწიფოები, უმთავრესათ, რუმინია და ბულგარეთი. დიპლომატიურ წრეებში დიდხანს იყვენ დარწმუნებული, რომ იტალიასა და რუმინიას შორის, ვითომც რაიმე შეთანხმება ყოფილიყოს და ერთის გამოსვლა მეორის გამოსვლას გამოიწვევსო, ამ ჟამათ კი მცოდნე დიპლომატები უარყოფენ ამნაირ შეთანხმებას ამ ორ სახელმწიფოს შორის. როგორც გადმოგვცემენ, ბუქარესტის მთავრობას გადაუწყვეტია კვლავ განაგრძოს ნეიტრალიტეტი, მიუხედავათ იტალიის გამოსვლისა. რუმინია კი ყოველ წუთში ყოყმანობს, რადგანაც მასზე ყოველ კერძო სამხედრო გამარჯვებას, თუ დამარცხებას გავლენა აქვს.

რაც შეეხება ბულგარეთს, დიპლომატიური წრეები იმ აზრისანი არიან, რომ იგი ჯერჯეროპით ისევ დაიცავს მტკიცე ნეიტრალიტეტს. ხოლო, თუ გარემოებამ მისი გამოსვლა საჭირო გახადა, ბულგარეთი სამთა შეთანხმების საწინააღმდეგოთ არ გამოვა, არამედ მათთან ერთად იმოქმედებს იმ პირობით, რასაკვირველია, თუ ბულგარეთს სრული გარანტია ექნება სამთა შეთანხმებისაგან ბუქარესტის ხელშეკრულობის ძალით ჩამოშორებული ოლქები დაიბრუნოსო.

„ადევერულ"-ი ამტკიცებს, რომ ბუქარესტსა და პეტროგრადს შორის ინტენსიური მოლაპარაკება განახლდა რუმინიის მოთხოვნის გამო ტერიტორიალური კომპენსაციის შესახებ, თუ უკეთუ რუმინია ომში ჩაერევა. პეტროგრადის პასუხმა—რომ დაპყრობილი ოლქები დანაწილდეს ნაციონალური პრინციპის მიხედვით, ვერ დააკმაყოფილა რუმინია და საკითხი ლონდონის კაბინეტს გადაეცა განსახილველათ.

— —

ბუქარესტიდან „რუსკ. ვედ." ატყობინებენ, რომ სერბიის გენერალური შტაბის ცნობით, სკუტართან თავმოყრილია ალბანელთა ბრბო, რომლის განზრახვაც სერბიაზე თავდასხმა არის. ბრბოს ხელმძღვანელობენ კარა-ხეიდ ფაშა და ახმედ-მუხტარ-ფაშა. მათ წინააღმდეგ შესაფერი ზომებია მიღებული. მეორე ცნობით, ალბანეთში სრული ანარქიაა გამეფებული. კათოლიკ და მუსულმან ალბანელებს შორის სისხლის ღვრამ მასიური ხასიათი მიიღო. ავსტრიის აგენტების მიერ შემდგარი მთიულ ალბანელების ბრბო შიშის ზარსა ცვრის მშვიდობიან მცხოვრებლებს. ამ დღეებში ბრბომ ხელში ჩაიგდო ურმები და ურმების გამცილებელი რაზმი, რომელიც ჩერნოგორიისკენ მიდიოდა. ჩერნოგორიის წარმომადგენელმა სკუტარში დიდ სახელმწიფოთა რწმუნებულის წინაშე პროტესტი განაცხადა და მოითხოვა წესრიგის აღდგენა.

— —

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, რომ ბერლინში გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაარსდა გერმანიის ბეჭდვითი სიტყვის ბიურო, რომლის მეთაურათაც გამანი დაინიშნაო.

— —

ათინიდან ცნობაა, რადგანაც ოსმალებს მცირე აზიაში იტალიელების შესვლის ეშინიათ, ამიტომ ჯარი სმირნიდან ადალისა და ალექსანდრეტისკენ გადაყავთო.

— —

ჰოლანდიის გაზეთების ცნობით, მოკავშირეთა ჰაეროპლანების უკანასკნელ თავდასხმის დროს გისტელში გერმანიის ჰაეროდრომი სრულიად განადგურდა.

— —

„კელნიშე ცეიტუნგს" ბერლინიდან ატყობინებენ შემდეგს: „გერმანიამ და ავსტრო-უნგრეთმა გარკვევით აცნობეს ბულგარეთის მთავრობას, რომ, თუ ბულგარეთი მათ მხარეზე იქნება, ამ თანაგრძნობას ბულგარეთისათვის კარგი შედეგი მოყვებაო, მაგრამ ამავე დროს, დღევანდელი გამოურკვეველი მდგომარეობის გამო, ეს სახელმწიფოები ბულგარეთს ვერ უზრუნველყოფენ ტერიტორიის გადიდების მხრივ. ეს საკითხი გადასწყდება ოსმალეთისა და ბულგარეთის მთავრობებს განსახილველათ, [illegible] ჩარევა არ მოისურვესო".

— —

სოფიიდან „რუსკ. ვედ." კორესპონდენტი იუწყება: გალიპოლის ნახევარკუნძულზე ორივე მოპირდაპირის შორის ბრძოლა დიდი თავგანწირვით სწარმოებსო. მოკავშირეები ცდილობენ ტეკეს მაღლობის ხელში ჩაგდებას. ეს სიმაღლე ნახევარკუნძულის უდიდეს ნაწილს თავს დაყურებს. საჰაერო ბრძოლაში მოკავშირეთა ჰაეროპლანებმა ოსმალების სამი ჰაეროპლანი დალეწეს.

— —

ოდესიდან ცნობაა, სამოსის ყურეში სოფელ იანიკეისთან მოკავშირეებმა ახალი დესანტი გადასხესო. დესანტი კუნძულის შუაგულისაკენ გაემართა. ჯარი ნაპირებთან ნავებით მივიდა.

— —

ფოკაის მცხოვრებლები ძლიერ შეშფოთებული არიან. მუსულმანები მცირე აზიისკენ მიდიან და ქრისტიანებს ძალით ერეკებიან. გზადაგზა მათ რამდენიმე სოფელს ცეცხლი წაუკიდეს.

**რომის პაპის აზრი ომის შესახებ.**

რომიდან იტყობინებიან, რომ გაზეთ „სტამპას" ცნობით, რომის პაპას ერთ პირთან საუბრის დროს შემდეგი გაუცხადებია: „იტალიის ჩარევა საერთაშორისო ომში დღევანდელ პირობების მიხედვით აუცილებელი იყოვო. იტალიის გამოსვლის შემდეგ, თითქმის, მთელი ევროპა სისხლის მორევში იქნება გახვეულიო".

## ჩვენც მივბაძოთ!

მართებლობის მიერ გამოცემულ ახალი კანონის ძალით ჩვენ გვეძლევა უფლება კერძო სასწავლებლები ვ(ი)ქონიოთ და ამ სასწავლებლებში ყველა საგნები, გარდა რუსული ენისა, ისტორიისა და გეოგრაფიისა, სამშობლო ენაზე ვასწავლოთ.

ასეთი სასწავლებლების დაარსება ჩვენში, ქუთაისისა და თფილისის ახლანდელ გიმნაზიების პროგრამების ამ ნიადაგზე დაყენება ნანატრის ასრულებათ უნდა მივიჩნიოთ და მის განხორციელებას ეჭვით და შიშით არ უნდა შევხედოთ.

მაგრამ, როცა პროგრამის ცვლილებასა და შესაფერი სახელმძღვანელოების შედგენის სიძნელეზე შეგვექნება მსჯელობა და ლაპარაკი, საქმის წარმატების დამაბრკოლებელ მიზეზათ ამასაც წამოაყენებენ ხოლმე: ვაი, თუ ასეთს ახალ გიმნაზიებში შემომსვლელთა მსურველი ცოტა იყოს და უმეტესობამ მართებლობის გიმნაზიებისკენ გაიწიოსო.

## ს. .ი. ოცხელის „Новое Слово."

ამ დღეებში გამოვიდა გასაყიდათ ბ. სიმონ ოცხელის მიერ შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო „Новое Слово," პირველი ნაწილი.

ეს წიგნი სუფთადაა გამოცემული და დასურათებული, რასაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშთათვის.

მაგრამ მარტო გარეგნობით არ იფარგლება ამ სახელმძღვანელოს ღირსება. იგი მართლაც ახალი სიტყვაა ჩვენი სკოლებისათვის.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს სკოლებში გამეფებულია რუსული ენა.

ამ ენაზე ასწავლიან ყველა საგანს. ამიტომ ქართველი ბავშები იძულებული არიან შეითვისონ რუსული ენა ისე კარგათ, რომ შეეძლოსთ სწავლა-განათლების მიღება ამ უცხო ენაზე. ეს კი როგორც მასწავლებლისგან, ისე, განსაკუთრებით, მოწაფისაგან ითხოვს დიდ უნარსა და ენერგიას. რუსული ენის სწავლება-შეთვისების სიძნელე ორკეცდებოდა მით, რომ შესაფერი, საზრიანი მეთოდი ამ უცხო ენის სწავლებისა ჩვენს სკოლებში დღემდი არ არსებობდა; სამწუხაროთ, დღემდი არ მოგვეპოვებოდა საპედაგოგიო მეცნიერების პრინციპზე შედგენილი, რუსული ენის სახელმძღვანელო.

ვიმეორებ, დღემდი არ იყო შემუშავებული ჭეშმარიტი მეთოდი, რომელიც გაუადვილებდა მასწავლებელსა და მოწაფეს რუსული ენის სწავლებას და შეთვისებას.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენს სკოლებში აქამდი ხმარობენ რუსული ენის შესასწავლათ ორს შაბლონურ მეთოდს: პირველია ეგრეთ წოდებული ბუნებრივი, ანუ უკეთ, მუნჯური მეთოდი, რომლის სულის ჩამდგმელადაც ითვლებოდა ჩვენში კარგათ „ცნობილი" ლევიცკი. მეორე კი გახლავთ თარგმნითი მეთოდი, რომელზედაც აგებულია განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო „Русское Слово." ვერც ერთი ამ მეთოდთაგანი ვერ აკმაყოფილებს პედაგოგიის საღ მოთხოვნილებას; ვერც ერთი მათგანი ვერ აღწევს დასახულ მიზანს და იწვევს როგორც მოწაფეში, ისე მასწავლებელში ნამდვილ ტანჯვას და წვალებას. მე თვით მქონდა შემთხვევა მესწავლებია ბავშებისთვის რუსული ენა თარგმნითი მეთოდით, ი. გოგებაშვილის „Русское Слово"-თი, და უნდა გამოვტყდე, რომ არას დროს არ მიგრძვნია ასეთი სიძნელე და შეწუხება, როგორც ვიგრძენი ამ მეთოდით ბავშების მომზადებაში. აშკარათ ვხედავდი ამ წიგნის და ამ მეთოდის უვარგისობას, მაგრამ ვერაფრით ვშველოდი საბრალო ბავშებს, რომელთაც საშინლათ ეზიზღებოდათ ასეთი სისტემით სწავლება, პირდაპირ სძულდათ საგანი. დარწმუნებული ვარ, ასეთი რამ განუცდიათ იმ მასწავლებელთაც, რომელნიც ამზადებენ ბავშებს რუსულში ასეთი მეთოდით.

პედაგოგიის ძირითადი დებულება გვიკარნახებს, რომ მოსწავლე ბავშში აღვძრათ ინტერესი ამა თუ იმ საგნისადმი, გამოვიწვიოთ სიყვარული და ამგვარათ გავუადვილოთ სწავლება ერთი მიბრძანეთ, აბა როგორ ინტერესსა და სიყვარულს გამოვიწვევთ იქ, სადაც სიტყვება და აზრებს ვაშორებთ ერთმანეთს, ვკლავთ ცხოველ იდეას და ვაწვდით საზეპიროთ ბავშის ქორფა ბუნებას მარტოოდენ მკვდარ ფორმებს?!

არა უკეთეს მეთოდათ მიმაჩნია ბუნებრივი ანუ მუნჯური მეთოდი. აქ მასწავლებელი ცდილობს შეათვისოს ბავშს რუსული ენა სამშობლო ენის დაუხმარებლად მარტოოდენ საგნებისა და მოქმედების ჩვენებით, რუსული სიტყვებით და წინადადებებით. აქ მასწავლებელი დადის, ხტის, მღერის, სტირის, ცეკვავს, წვება, დგება და, ასე გაშინჯეთ, კიდეც კვდება, თანაც ამბობს რუსულათ დაჟინებით ამა თუ იმ მოქმედების ან საგნის შესაფერ სიტყვას, რასაც მოწაფენი იმეორებენ თუთიყუშივით. პირველ ხანებში ასეთი გაკვეთილები იწვევს ბავშებში ხალისს და სიცხოველეს, იწვევს ხშირათ ხარხარს და ოხუნჯობას მაგრამ ეს კომედია, ეს მასწავლებლის ძალაუნებური ჯამბაზობა გრძელდება მხოლოდ იქამდი, სანამ მასწავლებელი არ გასცილებია ხილულ საგანთა და მოქმედებათა ვიწრო ფარგალს. როცა კი მასწავლებელი შეუდგება განყენებულ ცნებათა და უხილავ საგანთა გამოხატვას, აქ უკვე თავდება კომედია და იწყება ნამდვილი წამება და ტრაღედია. აქ საბრალო მასწავლებლის ხვნეშას, სიმწრის ოფლს, მოწაფეთა გაოცებას, დაბნევას, გაუგებრობას და სამწუხარო კურიოზებს არა აქვს საზღვარი. აქ თავდება მუნჯური მეთოდის საამო გზატკეცილი და უცებ ჩნდება მის წინ ხრამი, საშინელი ჯურღმული. ამას იქით მუნჯური მეთოდი ველარ მიდის. აქ ესმის მას წერტილი, აქ თავდება მისი „ნაყოფიერი" მოქმედება. ეს „ნაყოფი" კიდეც ვიგემეთ იმ სკოლებიდან, სადაც შემოღებული იყო ეს მეთოდი.

ექსპერიმენტალურმა პედაგოგიამ უკვე შეამჩნია ერთი ფრიად საგულისხმო მოვლენა და გამოიკვლია კიდეც იგი. ეს გახლავთ ბავშების მიერ უცხო ენის ადვილათ შეთვისება უბრალო თამაშობის დროს. ქართველი ან სხვა ეროვნების ბავში, უცხო ენის უცოდინარი, შემთხვევით ჩავარდა სხვა ეროვნების წრეში, ვთქვათ რუსის ან ფრანგის ოჯახში, თამაშობს მათ ბავშებთან. რას ვხედავთ?! ამ ბავშმა უცხო ბავშთან თამაშობის დროს, ორი-სამი თვის განმავლობაში, უკვე საკმაოდ შეითვისა მისთვის აქამდე უცნობი ენა. აქ არ დაგვჭირვებია არც სკოლა, არც მასწავლებელი, არც აბეზარი გაკვეთილები და არც უხეირო მეთოდებით ბავშის სულის მოწამლა და გონების დაჩლუნგება. რათ მოხდა ეს სასწაული?! რა იყო ამის მიზეზი?! რამ შეასწავლა ბავშს ასე უცებ და ასე ადვილათ ეს უცხო ენა?! აი, რას გვეუბნება ამაზე ფსიხოლოგია:

თამაშობის დროს მიტომ ითვისებს ბავში უცხო ენას, რომ თვით ამ თამაშობის აზრი, ლოღიკური მსვლელობა და თამაშის ყველა მოქმედების თანდათანობა აშუქებს თითოეულ უცხო სიტყვას, მის აზრს, მის მნიშვნელობას და ადვილ გასაგებათ ხდის ბავშისათვის. თვით თავის ტოლებთან თამაშმა ბავშში აღძრა უკვე დიდი ინტერესი,—ეს მთავარი ღერძი ყოველივე ახალი რიამე შეგნებისა და შეთვისებისა; დაბადა სიამოვნება, გააცხოველა და გაამხნევა ბავშის გულისყური, აამოძრავა მთელი მისი ფსიხიკა და ფიზიკა. ამ ფაქტორების შემდეგ უცხო ენის შეთვისება ბავშისთვის სულ უბრალო საქმეა, უბრალო გასეირნება მეხსიერების სფეროში. ბავში იჭერს ჰაერშივე ამხანაგის მიერ გამოსროლილ ბურთთან ერთად მისგანვე წარმოთქმულ უცხო სიტყვებს, მოქმედების, ასსოციაციის და ინტენციის ძალით უცებ იგებს ამ სიტყვების აზრს, მნიშვნელობას, ითვისებს და იმახსოვრებს მათ ადვილათ. ბავშის ქორფა ინტელექტში, მის ფაქიზ მეხსიერებაში ამ თამაშობის დროს ღრმათ იბეჭდება უცხო ხმები და სიტყვები, მათი მნიშვნელობა და ამ რიგათ ადვილათ ითვისებს უცხო ენა'.

საზოგადოთ თამაშობით ბავში ითვისებს არამც თუ მარტო უცხო ენას, არამედ იგი სწავლობს ბევრს რამე საგულისხმოს და ვითარდება სამჩნევათ მისი გრძნობა და გონება. ამიტომ საზრიანათ მოწყობილი თამაშობა საუკეთესო სკოლაა ბავშისათვის, ჩვეულებრივ შკოლებზე ბევრათ უფრო სასარგებლო. სწორეთ ამაზედაა დამყარებული და ეს ჭეშმარიტი აზრი უდევს საფუძვლათ გერმანიის დიდებული პედაგოგის ფრებელის საბავშო ბაღებს.

აი, ამ ჭეშმარიტ პრინციპზე ააგო ბ. ს. ოცხელმა თავისი ახალი მეთოდი. მის ნიჭიერათ შედგენილ რუსული ენის სახელმძღვანელოში იხატება ბავშის სულის ღრმა ცოდნა, დიდი პედაგოგიური დაკვირვება და გამოცდილება. ამ ძვირფასი წიგნით მან შეიტანა ჩვენს სკოლებში ახალი ცხოველი შუქი. ამიერიდან ამ წიგნის მეოხებით რუსული ენის პირველ დაწყებითი სწავლება დგება საღ ნიადაგზე. გამოცდილმა პედაგოგმა ბ. ს. ოცხელმა მიაგნო სწორეთ იმას, რაც საჭირო იყო რუსული ენის სასწავლებლად კლასსური საშუალებით. იშვიათი ინტერესით გადავიკითხე ამ დღეებში ახალი წიგნი და თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ მას მოელის დიდი მომავალი.

ბ. ს. ოცხელმა უარყო ორივე შაბლონური და არა პედაგოგიური მეთოდი, ე. ი. თარგმნითი და მუნჯური, თავისი ახალი მეთოდი შექმნა და ააგო სიტყვისა და აზრის ერთარსებაზე, მათ განუყრელობაზე, იდეას ანალიზსა და სინტეზზე აი რას ამბობს იგი თავის წინასიტყვაობაში:

—„ენა (სიტყვა) არის აზრის გამომხატველი. მოლაპარაკეს ჯერ უჩნდება რომელიმე რთული აზრი (იდეა); ამ იდეას იგი გვამცნევს წვრილ-წვრილი აზრების საშუალებით, რომელიც თავის მხრით შესდგება უბრა-

ამ ეჭვების გასაფანტავათ და საზოგადო აზრის მოსამზადებლათ ვრცელი წერილების ბეჭდვაც კი სჭირდება ჩვენს პრესას და, შეიძლება, სიტყვიერი პროპაგანდაც უნდა დაემატოს, რომ ჭეშმარიტება ფონს გავიდეს.

და ყოველივე ეს იმ დროს ხდება, რომ პოლიტიკური აღზრდა გვაკლია და მოქალაქობრივი სიმწიფე არ გვაბადია, თორემ ჩვენი სასწავლებლების გაეროვნება ქართველთა დაძინებული გონების მკვდრეთით აღდგომათ უნდა ჩავთვალოთ; მომენტით, მარჯვე დროით უნდა ვისარგებლოთ, რათა ახლავე მოვახერხოთ მისი განხორციელება.

ნივთიერმა ხელმოკლეობამაც არ უნდა დაგვახევიოს უკან და ყოველმა ქართველმა, მიუხედავათ შეძლებისა, ჩვენ ჩვენი წვლილი გამოვიღოთ და ასეთი სასწავლებლები ჩვენი პატარა ქვეყნის ცენტრსა და კუთხეებში ყველგან დავიარსოთ.

მაგრამ უბედურება ისაა, რომ ყოველი ჩვენი საერო საქმე მხოლოდ განსაზღვრული და ძლიერ მცირე ჯგუფის საზრუნველ საგნათ ხდება ყოველთვის, და საყოველთაო საერო საქმეთ არ მოგვეჩვენება ხოლმე.

არ იქნა და ვერ მოვესწარით, რომ სამშობლოსათვის სასიკეთო და გამოსადეგი საქმე ერის ყოველ წევრთა საზრუნველ საგნათ იქნეს მიჩნეული; ვერ მოვესწარით იმ დროს, რომ, როცა ასეთი საქმისთვის საერთო ზრუნვაა საჭირო, მაშინ მაინც გამოგვიჩნდებოდეს მეთაური და ამ მეთაურს, ან მიუდგომელს პრესას ყური დავუგდოთ და მათი რჩევითა და წინამძღოლობით ერისათვის სასარგებლო საქმეს ნივთიერათ, ზნეობრივათ და გონებრივათ ერთობით დავეხმაროთ.

აი, რა სამაგალითო და ჩვენთვის მისაბაძი და ჰკუის სასწავლებელი საქმე მომხდარა პოლონეთში:

ამ ამბავს ისე უკლისათ მოვიყვან ამ წერილში, როგორც აწერილია „რუსკია ვედომოსტების“ 103-ს №-ში.

**ნაციონალური სკოლა პოლონეთში.**

სამ დღეს აგროვებდენ ფულს ვარშავაში და ფულის ეს მოგროვება ნამდვილ მანიფესტაციათ გარდაიქცა. ამ ფულს აგროვებდენ კერძო სკოლების ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ და აი, სწორეთ ამიტომ გამოიჩინეს პოლონელებმა გასაკვირველი სიცხვე ამ საქმეში.

ამ მოვლენამ მიიპყრო ყურადღება მთელი პოლონეთის ბეჭდვითი სიტყვისა. ყველა გაზეთები, განურჩევლათ პარტიისა და მიმართულებისა, მოუწოდებდენ პოლონელებს, არ დაეშურებიათ თავისი წვლილი და დახმარებოდენ ნაციონალურ სკოლას, რომელსაც შეუძლია დიდი მნიშვნელობა იქონიოს პოლონეთის სამეფოს მომავალ აღორძინებაში.

როგორც გაზეთებმა უკვე გვამცნეს, სულ შეგროვდა 200000 მანეთი. და, თუ გავიხსენებთ გარემოებას, რომ თითქმის ყოველ დღე გროვდებოდა ფული დარბეულ პოლონელთა და გამოქცეულთა სასარგებლოთ, ეს თანხა კოლოსალურათ უნდა ჩაითვალოს.

პოლონელების ასეთი გატაცება რომ სავსებით გავიგოთ—უნდა გავიხსენოთ, თუ რა დიდი ადგილი დაიკავა საზოგადოთ კერძო სკოლამ პოლონელების ნაციონალურ გრძნობასა და ცხოვრებაში.

საქმე, რასაკვირველია, ის კი არაა, რომ ამ სკოლებს მართებლობისაზე უპირატესობა აქვთ, არამედ ისაა, რომ ამ სკოლებში სამშობლო ენამ თავისი ადგილი დაიჭირა.

1863 წლის შემდეგ პოლონური ენა თითქმის სრულიად გაიდევნა პოლონეთის სამეფოს სკოლებიდან. პოლონური სკოლები ან დახურეს, ან და სრულიად გადააკეთეს. კერძო სასწავლებლის გახსნის ნებართვას იშვიათად აძლევდენ და, თუ მისცემდენ, მაშინ, თუ ამ სკოლებში სწავლა ან რუსულსა და ან გერმანულ ენაზე იქნებოდა.

პოლონეთის საზოგადოება ვერ ურიგდებოდა ამ მდგომარეობას და, მიიღო თუ არა მან 1905 წელს სრული უფლება, როგორც კერძო შკოლების გახსნისა, ისე პოლონურ ენაზე სწავლებისა, პოლონეთმა ამითი მეტათ ისარგებლა. პოლონეთში გაიხსნა მრავალი გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებელი.

უხერხულობა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი არავითარ უფლებას არ აძლევდენ და სწავლის ფული აქ უფრო მეტი იყო, ვიდრე სახაზინო სასწავლებელში.

მაგრამ მშობლები არც მას აქცევდენ ყურადღებას და დამშვიდებული იყვნენ იმითი, რომ მათი შვილები სწავლა განათლებას სამშობლო ენაზე იღებდენ. ის ბავშები, რომელთაც არ შეეძლოთ ბევრის გადახდა, იძულებული ხდებოდენ სახაზინო გიმნაზიაში ესწავლათ. მაგრამ ამის გამო მშობლებიც და მოსწავლენიც უკმაყოფილოთ იტანჯებოდენ და აი, სწორეთ ამიტომ დაიწყეს ფულის შეგროვება კერძო სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლათ. მაგრამ ასეთი შემოწირულებასა და ფულის შეგროვებას ყოველთვის კერძო ხასიათი ჰქონდა აქამომდე იმიტომ, რომ ამის ნებართვას არ აძლევდენ.

მერმე კერძო სკოლების გახსნის უფლებაც მოიპოვეს და ფულის შეგროვების ნებართვაც მიიღეს. მაისის დღეები, როდესაც ვარშავაში ასეთი საქმის გასაკეთებლათ ფულის შეგროვება დაიწყეს პოლონურმა გაზეთებმა დღესასწაულებათ ჩასთვალეს პოლონეთის საზოგადოებისთვის.

ამ შემთხვევაში პოლონეთმა გვაჩვენა ჩვენ, თუ როგორ აფასებს იგი სამშობლო ენის სკოლას.

პოლონეთის დღევანდელ უბედურ მდგომარეობის დროს, პოლონელებმა ბევრი რამ მოიკლეს და თავისი წვლილი კი ამ საერთო საუნჯეში სიხარულით შეიტანეს, რათა დახმარება აღმოუჩინონ კერძო სასწავლებლებში მოსწავლე ღარიბ მოსწავლეებს, რომელთა უმეტესობის სახლკარი განიავებულია ახლანდელი ომის ქარიშხალისაგან. აი, სწორეთ აქედან სჩანს, რომ პოლონეთის საზოგადოებას ჯერაც არ დაუკარგავს იმედი მომავალი აღორძინებისა, მას სწამს მისი შემოქმედებითი მომავალი, რომლისთვისაც ახლო მომავალში მრავალი ინტელიგენტი მუშა იქნება საჭირო.

ჩვენში კი, სხვას რომ თავი დავანებოთ, როცა საქველმოქმედო სეირნობა გაიმართება სკოლისა და წერა-კითხვის დასახმარებლათ, დიდი ნაწილი ინტელიგენციისა და შეძლებული კლასი ბულვარს გარეთ დაიარება, რომ კამფეტის ყიდვა არ დაეძალონ, ან გასართობში რამე არ დაეხარჯოთ.

**სამსონ ყიფიანი.**

# ახალი ამბავი.

✦ კვირას, 17 მაისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება ქართულ დრამატიული საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრებას განსახილველათ აქვს შემდეგი საკითხები: 1) დამტკიცება გასული წლის ანგარიშებისა, 2) განხილვა და დამტკიცება მომავალი წლის ანგარიშებისა და 3) არჩევა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

✦ დღეს, 15 მაისს, ქართული გიმნაზიის დარბაზში, დილის 10 საათზე, მოხდება ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრება. კრება განიხილავს შემდეგ საკითხებს: 1) თუ რით დაეხმაროს თავად-აზნაურობა ქუთაისის გუბერნიის დამშეულ მაზრებს; 2) რა საშუალებით დაფარონ ქართული გიმნაზიის ვალები და სხვა.

✦ ქუთაისის კლუბი 17 მაისიდან საზამთრო შენობიდან გადადის საზაფხულო შენობაში, ივანოვის ქუჩაზე. საზამთრო შენობაში უკანასკნელი სადამო არის შაბათს, 16 მაისს.

✦ იმ ინციდენტის გამო, რომელიც შარშან მოხდა ქუთაისის თავად-აზნაურთა ქართულ გიმნაზიაში მთავრობის დელეგატის კორიცკისა და მასწავლებელთა შორის, გაზ. „იმერეთში“ მოთავსებული იყო ია ეკალაძის წერილი „ქუთაისის ქართულ გიმნაზიის გარშემო“. ამ წერილის გამო „იმერეთის“ რედაქტორი თავ. ბ. ჯაიანი სამართალში იყო მიცემული სასჯელთა დებულების 1034 მუხლის ძალით. ეს საქმე პირველათ გაირჩა ქუთაისის ოლქის სასამართლოში. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ა. საყვარელიძე. ოლქის სასამართლომ ბრალდებული გაამართლა. ამ განაჩენის წინააღმდეგ ბრალმდებელმა პროტესტი შეიტანა და 12 ამ თვეს საქმე ხელახლათ გაირჩა თფილისში, სამოსამართლო პალატაში. დამცველი იყო პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატათ ნამყოფი, ცნობილი ვექილი თავ. ო. ბარათაშვილი. პალატამ დიდხნის თათბირის შემდეგ ბრალდებული თავ. ჯაიანი ხუთი თუმნით დააჯარიმა.

✦ შაბათს, 16 მაისს, ქალაქის თეატრში გაიმართება სალიტერატურო სადამო ჩინებულის პროგრამით. სადამო საქველმოქმედოა და იმედია ხალხი დაესწრება.

✦ 13 მაისს, სადამოს 6 საათზე, მდ. რიონში დაიხრჩო ტანსაცმელის მღებვარი ილია სუპატაშვილი. სუპატაშვილი თეთრ ხიდიდან რეცხდა შეღებილ ტანისამოს, მას ფეხი დაუსხლტა და წყალმა გაიტაცა.

✦ დღეს, 15 მაისს, ქალაქის თვითმართველობის დირბაზში მოხდება ქალაქის საბჭოს კრება. გასარჩევათ დანიშნულია საყურადღებო საქმეები.

✦ ამ კვირის განმავლობაში ქუთაისში შემოვიდა 10 ვაგონი პურის ფქვილი, 3 ვაგონი შაქარი, 2 ვაგონი ნავთი, 3 ვაგ. სიმინდი, 1 ვაგ. თევზი, 2 ვაგ. ქატო და სხვა.

✦ დღეს, 15 მაისს, ქალაქის თეატრში გ. არადელი—იშხნელი მართავს რუსულ ენაზე წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის ისტორიული პიესა „ღალატი“.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო კლასიკური მოწაფეების შურა ანდღულაძისა და ლუკა ახობაძისაგან მოგროვილი თავის ამხანაგებთა შორის 11 მანეთი და ორი შაური ღარიბ აჭარლების პატარა ბავშების სასარგებლოთ. ეს ფული რედაქციამ გადასცა ქუთაისის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მოლარეს ბ. გრ. გველესიანს.

### თფილისი.

— ქიზიყიდან ჩამოვიდა ჩვენი მგოსანი სანდრო შანშიაშვილი, რომლის რედაქტორობითაც ამ თვის გასულს გამოვა გაზეთი „საქართველო“.

— ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ 12 მაისს დაადგინა; 1. ახლავე შეუდგეს სრულ რუსულ-ქართულ, ქართულ-რუსულ-ფრანგულ და ფრანგულ-ქართულ ლექსიკონთა გამოცემის საქმეს, რომლის სისრულეში მოყვანა უნდა მიენდოს პასუხის მგებელ რედაქტორს (არჩეულია დ. გ. კარიჭაშვილი), 2. პირველად სასურველია, დამთავრდეს რუსულ-ქართულის ლექსიკონის გამოცემა, შემდეგ ქართულ-რუსულ-ფრანგულისა და ბოლოს ფრანგულ-ქართულისა; ლექსიკონთა შესადგენად დაინიშნოს სამი წლის ვადა, დაწყებული 1915 წლის 1 მაისიდან და 3. ეს დადგენილება მოხსენდეს საზოგადოების წევრთა მორიგ კრებას.

— ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საბჭო შეუდგა წიგნაკის ბეჭდვას, რომელშიაც შევა ივ. გომართლის 25 მარტს წაკითხული მოხსენება „აკაკი“ (ამ მოხსენებაზე ბევრი რამ დაწერილა გაზეთებში) და კიტა აბაშიძის მოხსენება: „ილია და აკაკი“. ეს მოხსენება ავტორს უნდა წაეკითხა 25 მარტს ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოების მიერ გამართულ აკაკის დილაზე, მაგრამ ავადმყოფობამ ხელი შეუშალა. წიგნაკი ამ ერთ კვირაში გამოვა გასასყიდად. ელირება ერთი აბაზი. განსაზღვრული პროცენტი გადაედება აკაკის ფონდისათვის.

### ქ. გორი.

შაბათს 9 მაისს, წ. კ. საზ. ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ საზ. საკრებულოს დარბაზში საინტერესო ლექცია წაიკითხა ექიმმა მ. დ. წინამძღვრიშვილმა. „სახადი და ბრძოლა ყველა გადამდებ სენთან“. ლექცია შინაარსიანი იყო და ბუნდოვანი სურათებიც სდევდა თან. ხალხი ცოტა დაესწრო, თუმცა ფასები სახალხო იყო, ათი შაურიდან ორ შაურამდი.

— პარასკევს, 8 მაისს, [illegible] ქალაქის სამართველოს დარბაზში [illegible] მიიღებინეს და შემდეგ გაიმართა კრება, რომელზეც განხილულ იქმნა რამდენიმე საკითხი.

— ქალთა გიმნაზიასთან არსებული მშობელთა წრე საზაფხულოდ საბუნებისმეტყველო კურსებს ჰმართავს მოწაფეთა და საერთოდ მსურველთათვის. შეისწავლიან ზოოლოგიას, მინერალოგიას და სხვ. ამ მიზნით მოაწყობენ ექსკურსიებსაც. გადასახადი თვეში ერთი მანეთი იქნება.

**ქართ. შორ. წერა-კითხვის საზოგად. ქუთაისის განყოფილ. სასარგებლოთ შემოსწირეს:**

ანა დუარსაბის ასულმა ქავთარაძისამ—1 დივნის ბალიში—გობელენი პატარა სიკო ქავთარაძემ—1 პატარა ბალიში ისიც გობელენი, ქსენია იაკობ ასტახოვის ასულმა—2 მოქსოვილი სალფეთქი; ვაველოვისა და უდალოვის ამხანაგობამ ორი მოქარგული ბალისტის და ერთი ტილის არშიის ბლუზები და 2 სუფრაზე გადასაფენი ხავენი. კორსეტის მაღაზიის გამგემ „სავომ“ ერთი თეთრეულის გალსტუხი; ფანცხავას მეუღლემ ვასასამ მთაკრიფა შემოწირულება; მარიამ გიორგის ასულმა რუხაძისამ 6 სალფეთქი, მარიამ აბაზიანიძისამ—1 თოვი არშია, მინადორა თუთბერიძისამ—ჩაინიკი, ვასსი ფანცხავასამ—საბლუზე რაგოჟა, ანა პავლეს ასულმა კიკნაძისამ—მაუდზე მოქარგული ბალიშის პირი, ვასილ გოგავამ—1 მან., გრიგოლ მეფარიძემ - 2 მან., ივანე ფხაკაძემ—1 მან., ფოტინე აბზიანიძემ—1 მან., ოლია ნარეშელაშვილისამ—10 შ., დომინიკა ადამიასამ—10 შ, ელენე სვანიძისამ—10 შ., სარდიონ აბზიანიძემ—10 შ., ბაბილინა საღარაძისამ—1 მან, ევდუკი მატარაძისამ—1 მან, ტერეზია ქუთათელაძისამ—10 შ,, თადეოზ შანიევმა—10 შ., ელინკა ბაბუნაშვილისამ—2 აბ., მაია ბიბილეიშვილისამ - 6 შ., პართენ ამირანაშვილმა—2 აბ., ს. ჯ.—1 აბ., მაკრინე აბზიანიძისამ - 10 შ., მარიამ გრიგოლის ასულმა წერეთლისამ 2 არშ. სარჩენკა, ლიუბა ორაგველიძისამ—3 არშ. საბლუზე ჩითი და აგრაფინა ბარისოვისამ—1 სარძევე

# ქუთაისის ცხოვრებიდან.

**ბ-ნი რ. დათეშიძე და ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება.*)**

ჩვენი დაქვეითება, დაკნინება, უილაჯობა და უთაურობა, სხვათა შორის იქიდანაც სჩანს, რომ ხშირათ ჩვეულებრივზე უჩვეულებრივესი მოვლენა ვეებერთელა რამედ გვ ჩვენება და უბრალო მომაკვდავის უბრალო ვალდებულობას რაღაც ერთგვარი გმირობის სახელით ვნათლავთ. განა სხვაგან, სხვა კულტურულ ქვეყნებში შესაძლებელია დითირამბები უგალობონ და „მესიათ“ აღიარონ, მაგალითად, ნოქარი, რომელიც თავის პატრონს არაფერს პარავს? ამით ხომ იგი კულტურული ქვეყანა მარტოოდენ თავის უკულტურობას და იმას დაამტკიცებდა, რომ ხსენებულ ქვეყანაში არც ერთი პატიოსანი ადამიანი, არც ერთი არა ქურდი არ მოიპოვება? სწორეთ ანალოგიური რამ ხდება ხშირად ჩვენში, რაც ამ ჟამათაც მეორდება.

ამას წინათ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების შესახებს გაზეთ „სამშობლოში“ ბ-ნი მანთაის წერილი იყო მოთავსებული. ავტორი რამდენიმე საერთო ფრაზის შემდეგ, რომლითაც იგი ხალხს ხსენებულ საზოგადოებისადმი უყურადღებობას უკიჟინებს, ამ ბანკის ერთერთ ახლანდელ დირექტორს ბ. რ. დათეშიძეს იხსენიებს და ისეთი „ქათინაურობით“ ამკობს ბ. დათეშიძის შრომამოღვაწეობას, რომ არა გვგონია თვით ბ-მა დათეშიძემაც მის წაკითხვაზე ცოტაოდენი უხერხულობა არ იგრძნოს.

ჩვენ არ გვინდა ადამიანს წავართვათ ის, რაც მას ღირსებათ აქვს, მაგრამ ლანძღვაც და ქებაც მიუტევებელ ცოდვათ მიგვაჩნია, თუ კი იგი გადაჭარბებულია.

მართლაც რა არის გადასამეტებელი ბ. დათეშიძის შრომა-მოღვაწეობაში?—იგია დირექტორი, რომელიც აურჩევიათ მაშინ, როცა ვითომ ბანკის ძველ მესვეურთ ფულები შამოეჭამათ, (თუმცა შეიძლება არც ასე ყოფილიყოს!) მაგრამ მას შემდეგ კი რაც ბ. დათეშიძე დირექტორათ აურჩევიათ, თურმე ბანკში ფული არ შეჭმულა. კარგი და პატიოსანი! ვსთქვათ

*) ვბეჭდავთ ამ წერილს იმ პოზიციის გამო, რომელიც ჩვენ დავიჭირეთ ამ საკითხის შესახებ. რედ.

ლო ცნებათაგან. მაშ, მოლაპარაკეს აზროვნება, მისი ზოგადი იდეა ნაწილდება უბრალო ცნებებათ. აქ ხდება ზოგადი იდეას ანალიზი: ზოგადი იდეა,—მარტივი აზრი,—უბრალო ცნება და ბოლოს ამ უკანასკნელის სიტყვიერი გამოხატულება, ე. ი. სიტყვა. საერთო იდეა ხსნის კერძო აზრის მნიშვნელობას, ეს კი თავის მხრით არკვევს თვით სიტყვის მნიშვნელობას. აქიდან გამოდის, რომ თითოეული სიტყვა უნდა გახდეს გაგებული წინადადებისაგან, წინადადების აზრი კი—მთელი მოთხრობიდან... მაშ, უცხო ენის შესწავლის დროს, ჩვენ უნდა გადვიდეთ სიტყვიდან წინადადებაზე კი არა, წინადადებიდან სიტყვაზე, ვინაიდან მთელი წინადადება უფრო გასაგებია, ვიდრე თითოეული სიტყვა, მისგან ცალცალკეთ აღებული.. ზემონათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენი მეთოდის, ე. ი. რუსული ენის პირველდაწყებითი სწავლების საფუძვლათ დევს შემდეგი დებულებანი:

1. მოთხრობა და ბაასი თავის შინაარსით უნდა სძრავდეს ბავშების გულისყურს.

2. რუსული წინადადების და თითოეული რუსული სიტყვის აზრი და მნიშვნელობა უნდა ირკვეოდეს სამშობლო ენაზე მოყოლილ ამბისა და მის შესაფერ სურათის შინაარსიდან. უსაჭიროეს შემთხვევაში უნდა მიმართოთ თარგმანს.

3. ბაასი უნდა შეიცავდეს ერთს დასრულებულ რასმე თავისი ლოღიკური თანდათანობით.

4. ენის ფორმები უნდა იწავლებოდეს სისტემატიური წესით ერთი-მეორეზე გადაბმულ ბაასის დროს.

ამ ოთხ ელემენტზე არის აგებული ჩვენი სახელმძღვანელოს ლექსიური გაკვეთილები.

ბ. ს. ოცხელის წიგნი გაყოფილია სამ ნაწილათ: პირველათ არის საზრიანათ დალაგებული ლექსიური ანუ სიტყვიერი გაკვეთილები. თითოეულ გაკვეთილში შედის: ქართული პაწია მოთხრობა, შესაფერი სურათი, სურათის ახსნა რუსული სიტყვებით, რუსულათ მისაცემი კითხვები მასწავლებლის მიერ და ბოლოს აქედან გამომდინარე საგნების სურათები რუსული სიტყვებით. ამ გაკვეთილების დროს მასწავლებელი ჯერ წააკითხებს ბავშებს ან თვითონ წაუკითხავს ქართულ მოთხრობას, მოთხრობის შინაარს მოაყოლებს მოწაფეებს, შემდეგ სურათზე უხსნის რუსულათ საგნებისა და პიროვნებათა სახელებს და მათ მოქმედებას; ბავშები ხალისიანათ გაიმეორებენ და შეითვისებენ ამას. შემდეგ მასწავლებელი ართულებს კითხვებს და ადარებს სურათებს ერთი მეორეს. ამ რიგათ ბავშები ძალდაუტანებლივ და სისტემატიურათ ითვისებენ ზეპირათ რუსულ სიტყვებს, ფორმებს და წინადადებებს, თითქმის ისე, როგორც თამაშობის დროს, მხოლოდ ამ ლექსიურ გაკვეთილებში სასტიკათ დაცულია პედაგოგიური პრინციპი: ადვილიდან უფრო ძნელზე გადასვლა, სისტემა და თანდათანობა.

ლექსიურ გაკვეთილებს შემდეგ იწყება რუსული ანბანი ხმის მეთოდზე და სურათებზე აგებული. ამ ნაწილში ბავშები სწავლობენ რუსულ კითხვას და წერას.

წიგნის მესამე ნაწილი შეიცავს რუსულ მოთხრობებსა და შესაფერ სურათებს საზეპირო და სამწერლო სავარჯიშო კითხვებით. აქ მოწაფე ვარჯიშობს რუსულ კითხვასა და წერაში, რუსულ ლაპარაკსა და ენის ფორმების შესწავლაში. აქ გაკვეთილი ისეა დალაგებული, რომ კერძო სიტყვებიდან გადადიხარ აზრებზე და კერძო აზრებიდან ანუ წინადადებიდან კი—საერთო, ზოგად იდეაზე. ამ რიგათ აქ ხდება სინტეზი, მაშინ, როდესაც ლექსიურ ნაწილში ხდება მხოლოდ იდეას ანალიზი, ე. ი. ზოგადი იდეა ნაწილაკდება ჯერ მარტივ აზრებათ, ეს უკანასკნელი კი—კერძო სიტყვებათ.

აი, ის ბრძნული პედაგოგიური ძაფი, რომელზედაც მძივივით ასხმულია ბ. ოცხელის წიგნის ნაწილები და ინტერესიანი სავსე გაკვეთილები! არ შევჩერდები აქ იმ მცირე დეფექტებზე, რომლებიც უფრო ტეხნიკური ხასიათისაა და ამიტომ ადვილათ ასაცილებელი ავტორის მიერ წიგნის მეორე გამოცემის დროს.

სასურველია, ბ. ს. ოცხელის წიგნზე ამოიღონ ხმა გამოცდილმა პედაგოგებმა, განსაკუთრებით კი პირველდაწყებით შკოლებისა და მოსამზადებელი კლასების მასწავლებლებმა, გაგვიზიარონ თავისი აზრი და დაკვირვება, ვინაიდან რუსული ენის სწავლების საკითხი მეტათ აინტერესებს ჩვენს ხალხსა და საზოგადოებას.

დაბოლოს ვიტყვი, რომ, როგორც ვიცით, ბ. ს. ოცხელმა თითქმის 15 წელიწადი ატარა შვილივით თავის შესანიშნავი აზრი ახალი მეთოდით რუსული ენის სწავლების შესახებ, მოახდინა ექსპერიმენტები და დიდხანს ამუშავა თავის სახელმძღვანელო, სანამ იგი ნახავდა სტამბას და წიგნის მაღაზიას. ამიტომ მას უფლება აქვს საფრანგეთის ფილოსოფოს მონტესკიეს მგზავსათ სთქვას: ბატონებო, თქვენ შეგიძლიათ ერთ საათში გადიკითხოთ ის წიგნაკი, რომლის შედგენაზეც მე მოვანდომე მთელი 15 წელიწადიო.

ვულოცავ ჩვენს შკოლებს ამ ახალ მეთოდს, ამ „ახალ სიტყვას“ („Новое Слово“) და ვუსურვებ მის ავტორს ნაყოფიერ შრომას მეორე წიგნის მალე შესადგენათ და გამოსაცემათ.

**ძველი პედაგოგი.**

დათეშიძეს მართლაც არაფერი შეუქმია, მერე არ არის აქ ზედმეტი საქები? იგი ხომ ფულების შესანახათ აირჩიეს და „არა შესაჭმელათ, იგი ხომ იმიტომაც იღებდა ჯამაგირს, რომ არაფერი დაეკლო ბანკისათვის და ეს ხომ უბრალო მოვალეობა იყო მისი?

ჩვენ გვესმის, როდესაც ვისმე რასმე ცუდს სწამებენ, მას გამოესარჩლოთ და სთქვათ:—არა, თქვენი ცილისწამება დაუმსახურებელიაო, მაგრამ ცოტა არ იყოს შეუფერებლათ მიგვაჩნია ადამიანისთვის ისეთი მოქმედება, როდესაც არავის არაფერს სწამებენ და ის კი გაიძახის:—ესა და ეს ადამიანი პატიოსანიაო.

წერილის დასაწყისში ჩვენ განგებ შევჩერდით ბ-ნი მანთაშის წერილზე და აღვნიშნეთ მისი უადგილო „პათოსი“, როდესაც მზგავსი რამ საჭირო არ იყო, ახლა კი გადავიდეთ ხსენებულ საურთიერთო ნდობის საზოგადოებაზე და გზა და გზა შევეხოთ მის დირექტორს, ამ ჟამათ კი როგორც ამბობენ „პრეტენდენტს“ საზოგადოების თავჯდომარეობაზე—ბ-ნ რ. დათეშიძეს.

ერთხელ კონფუცის ჰკითხეს, რა არის სიკვდილიო, და მან მიუგო:—„ჯერ, როდესაც არ იციან რა არის სიცოცხლე, საიდან ეცოდინებათ, თუ რა არის სიკვდილიო“... ყველაფერ ამას მოგახსენებთ იმათ საყურადღებოთ, რომელნიც ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ახლანდელ მდგომარეობასა და მის ერთერთ მესვეურთაგანზე ბ ნი მანთაშისავით გაზვიადებული აზრისა არიან.

ვისაც ვაჭრები ერისაგან გათიშულ ნაწილათ და ვაჭრობა საერთო საერო საზოგადო საქმეთაგან განკერძოებულ რამეთ წარმოუდგენიათ, მათთვის ვაჭარი და ვაჭრობა მაშინ კვდება, როცა ბალანსი იკლებს. ერთი სიტყვით, მთელი მათი სიკვდილ-სიცოცხლე მარტოოდენ ფულით განისაზღვრება. მაგრამ, თუ კი ჩვენი წარმოდგენით ვაჭარი მთლიან ეროვნული სხეულის ერთ ნაწილთაგანს წარმოადგენს, რომელიც ყველაფრით (და თავისი ქონებითაც) მთელ ხალხთან, მთელ საზოგადოებასთან არის დაკავშირებული, თუ კი ვაჭრობა ვაჭარს კი არ თიშავს, ერამედ აერთებს თავის ერთან, თავის ხალხთან, ისე როგორც ეს სხვაგან და თუნდა ჩვენს მეზობელ ერში, სომხებში ხდება, მაშინ ვაჭრისა და ვაჭრობის სიკვდილ-სიცოცხლეს ბალანსის გარდა სხვაც რამე საზღვრავს.

ამიტომ, ჩვენის აზრით, სავალდებულოთ მიგვაჩნია, რომელიმე, თუნდა კომერციული დაწესებულების ნესვეურებისათვის, რომ, როდესაც მათ სურთ მათდამი მინდობილი საზოგადოება აალორძინონ, გაამაგრონ, ერთი სიტყვით აცოცხლონ, იმავე დროს ეცადონ, რომ დაწესებულება საზოგადოების გარეშე არ დააყენონ და დაწესებულების წევრნიც მთელი საზოგადოებისაგან არ გათიშონ.

რომელიმე დაწესებულებისა და მით უმეტეს კომერციული დაწესებულების სიკვდილ-სიცოცხლისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ფართო საზოგადოების თანაგრძნობა, ურომლისოთ დაწესებულება ისე ვერ იცოცხლებს, როგორც ქუთაისის ქართული ვაჭარი ვერ იხეირებს, თუ მას ქართველი მუშტარი არა ჰყავს.

უპირველეს ყოვლისა სწორეთ ამ მხრივ არის მოსალოდნელი ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისთვის სიკვდილი ბ ნ დათეშიძის ხელში, რომელიც ხელს უწყობს არა ვაჭრებისა და მათი ბანკის საზოგადოებასთან დაახლოვებას, არამედ მათ გათიშვას და განცალკევებას. პირველ და მომაკვდინებელ ნაკლათ ბ-ნ დათეშიძის საბანკო საქმეებში სწორეთ მისი ასეთი „ტაქტიკა“ მიგვაჩნია.

**ფულითაც მდიდარი.**

(დასასრული ხვალ).

## მიაქციეთ ყურადღება!

მგონია, არც ერთ ქალაქში არ იქნება ისე უყურადღებოთ მიტოვებული განაპირა ქუჩები, როგორც ეს ქ. ქუთაისშია. მიმოიარეთ ქუთაისის ქუჩები, მისი შესახვევ-შემოსახვევები და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ქალაქი სწორეთ უპატრონოთაა დარჩენილი. მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო კერძოთ ბალახვანის ქუჩას. ყოველ დიდი წვიმის დროს, (რომელიც არა იშვიათია ქუთაისში), მთელ სალურიაზე ჩამონაშვები წვიმა ღელეების მზგავსათ ბალახვანის ქუჩისაკენ მოემართება, აქ-კი ისეთი პატარა თხრილები უხვდება, რომ ის ამოდენა წყალს ვერ იტევს, ნაპირებიდან ქუჩაში გადმოდის და იქაურობას წყლით ავსებს. ასე რომ, ყოვლად შეუძლებელი ხდება ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა. შესახვევებში ისეთი ტალახი და უსუფთაობა სუფევს, რომ მასზე გასავლელათ საჭიროა ცხრა არშინიან ორჩაფეხებზე შედგომა და ცხვირზე მაგრათ ხელის მიჭერება, რათა ტალახში არ ჩაეფლათ და ცუდი სულისაგან გულის არ შემოგეყაროსთ. სინათლეს, როგორც იქმნა ცლირსა ამ ბოლო დროს მთავარი ქუჩა, შესახვევებში კი არაფერი მოიძებნება, გარდა ორიოდე მბჟუტავ ფარნისა, რომელთა სიკარგეზეც ლაპარაკი მეტია. წესიერების დამცველი „გოროდოვოი“ სანთლითაც რომ ეძიოთ, ვერსად შეხვდებით. კაცს რომ ჰკლავდეს ვინმე, რაც უნდა ბევრი უყვირო და უსტვინო, „გოროდოვოის“ მაინც ვერ ნახავ, ეს დალოცვილები რაღაც უხილავი ხდებიან ამ დროს. თვით ქუჩაში ისე ვერ გაივლით, რომ ათასნაირი უწმაწური სიტყვა არ გაიგონოთ ქუჩის ბიჭ-ბუჭებისაგან.

დასასრულ მსურს საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო ერთ ადგილს—ტაიგელის შესახვევად წოდებულს (ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლიდან მარჯვნივ მეორე შესახვევი). აქ არის უხსოვარ დროიდან ერთი სამიკიტნო, რომელსაც კარებს ზევით მხოლოდ შემდეგი წარწერა აქვს: „ვინნი სკლად ს. გ—სა.“ ვინ ჩივის, რომ აქ მარტო ღვინის საწყობი იყოს, ღვინოს შენი ჭირი წაუღია,—აქ ისეთი დაწესებულებაა, რომლის არსებობაც ისეთ ალაგას, როგორც სასწავლებლის ახლოს, ყოვლად უადგილო და შეუფერებელია. ყოველ დღე ჯარისკაცებითა და სხვებითაც სავსეა იქაურობა. ყვირილით, არღნის ჭყივილით, უნამუსო დედაკაცებთან ქეიფითა და ერთმანეთის თავ-პირის მტვრევით, რომელიც ხშირად ადამიანის მსხვერპლითაც თავდება ხოლმე, (მაგალითად ამას წინეთ სამიკიტნოს პატრონის თანაშემწე გამოასალმეს წუთისოფელს), ათასნაირ შევიწროებას და უსიამოვნებას განიცდიან გარშემო მცხოვრებლები. სხვა რომ არა იყოს რა, ცუდ გავლენას ახდენენ, საზოგადოთ მოზარდ თაობაზე და კერძოთ კი მოწაფეობაზე, რომელიც აქ მრავლად იმყოფება. საკვირველი ის არის, რომ ამდენხანს არსებობს ეს გარყვნილების სახლი და არც მთავრობას მიუქცევია მაინცდამაინც დიდი ყურადღება და მცხოვრებნიც გაჩუმებულან და შეგუებიან ამ გარემოებას ვითომც ასე უნდა იყოსო. საჭიროა, ბატონნო ქალაქის მამებო და პატრონებო, ახლა მაინც მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება, თუ ყველა ზემოთ აღნიშნულ გაჭირვებას არა, რომელსაც ჩვენ, ბალახვანის მცხოვრებნი განვიცდით, უკანასკნელს მაინც, რათა გვიხსნათ აქაური მცხოვრებნი ათასნაირი უსიამოვნებისაგან, ხოლო მოზარდი თაობა გარყვნილებისაგან. მით უფრო, რომ ამ გაჭირვების თავიდან აცდენა არავითარ ხარჯს არ მოითხოვს და ტყვილად ნუ გეშინიათ.

გ.

## დაბა-სოფელი.

**ს. პერევისა** (ზემო იმერეთი). ეს სოფელი 2 ვერსის მანძილზე იქნება დაშორებული დაბა ჭიათურას. მდებარეობა მთა-გორიანია და ეს მთაგორიანი მიდამოები დაფენილია მცხოვრებლებით. პერევისა მდიდარია შავი ქვით, რაც დამტკიცებულია გამოკვლევებით. თუმცა ბუნებას სიუხვით დაუჯილდოვებია ეს მხარე, მაგრამ, საუბედუროთ, ეს სიმდიდრე ხალხის ხელში არ არის, მას უცხო კაპიტალისტები ჩაბღაუჭებიან და მათ კლანჭებში იხვრჩვებიან როგორც მეპატრონე, ისე არა მეპატრონე ამ სიმდიდრესი. დღესდღეობით გლეხების უმწეო მდგომარეობა გაორკეცებულია და მიზეზი კი ეს საშინელი ომიანობაა. როდესაც ჭიათურაში შავიქვის მუშაობა გაცხარებული იყო, ხალხს თვალი იქით ეჭირა, ეს იყო ერთადერთი წყარო ხალხის ცხოვრებისა. მაგრამ, როდესაც აქ დღეს მუშაობა შეჩერდა, ხალხის სასოწარკვეთილებასაც საზღვარი არა აქვს. ომის სუნი დღეს სოფლებშიაც შეიჭრა და მყუდროება ცრემლითა და ვაებით შესცვალა. საზოგადოთ, დღეს, როგორც მოქალაქენი, ისე სოფლელნიც დაინტერესებული არიან გაიგონ სხვადასხვა ამბავი და საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობას. ფხიზელი თვალყური ადევნონ. ამიტომ საჭიროა მათთვის ხელმისაწდომი გახდეს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები. ეს კი მოსახერხებელია მაშინ, როდესაც ამა თუ იმ სოფელში არსებობს სამკითხველო. გარდა სამკითხველოისა სხვა ბევრი უნდა სოფელს, როგორც საკრედიტო ბანკი, კოოპერატივი და სხვ. აირას ითხოვს ჯერ-ჯერობით სოფელი, მაგრამ, საუბედუროთ, ს. პერევისაში ამდაგვარს ვერაფერს ვერ ვხედავთ. რომ გადავავლოთ თვალი ჟურნალ-გაზეთებს, ნათლათ დაინახავთ, რომ ცოტათ თუ ბევრათ, გურიის დაბა-სოფლები უფრო შეგნებულათ უმკლავდებიან ცხოვრებას. ამ უკანასკნელ დროს ქვემო იმერეთიც გამოფხიზლდა ამ მხრით. აქ იშვიათად შეხვდებით სოფელს, რომ რაიმე კულტურულ დაწესებულებას არ წააწყდეთ. ზემო იმერეთი კი ამ მხრით ძლიერ ჩამორჩენილია. წარმოიდგინეთ, ვეებერთელა სოფელია პერევისა—სულ 2500 კომლზე მეტი იქნება მცხოვრებლები, და აქ არავითარი კულტურული დაწესებულება არ მოეპოებათ, გარდა ერთკლასიანი სასწავლებლისა. და ეს იმ დროს, როდესაც ჯოხს ისე ვერ მოიქნევ აქ, რომ ინტელიგენტს არ მოხვდეს. ნათქვამია: „როგორიც ერი, ისეთი ბერიო“ და ეს ანდაზა ზედ აქაურ ინტელიგენციაზეა გამოჭრილი. როგორც ხალხია ძველი ზოგიერთ მავნე ჩვეულებებისა და ცრუ მორწმუნეობის მიმდევარი, ისე ინტელიგენციაც. ეწევიან ფუქსავატურ ცხოვრებას, დროს ტარებას და დაუსრულებელ ქეიფს. დროა გამოფხიზლდეს აქაური ინტელიგენცია, დროა შეიგნონ, რომ ხალხს დახმარება ესაჭიროება, რომ მათ „ინიციატორები“ უნდათ საქმის მოსაგვარებლათ, დროა დააღწიონ თავი სადათას ძილს, თორემ ასეთი ძილით ფონს ვერ გავლენ.

**ინ—ჯანი.**

—

**ს. ხობი** (ზუგდიდის მაზრა). 25 აპრილს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა ბ. ვლ. ნ—იას თაოსნობით, ხობის ილიას სახელობის ბიბლიოთეკის შენობაში წარმოადგინეს ცნობილი პიესა „ციმბირელი“, რომლის შემოსავალი მოხმარდა წითელ ჯვარს და ნაწილი ზემოხსენებულ ბიბლიოთეკას.

აღსანიშნავია, რომ ამ სცენის მოყვარეთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც მოქმედობს ამ დარგში, დაკვირვებულის, ბ. ვლ. ნ—იას მეთაურობით, ამ უკანასკნელ ორ წელში კარგი სიმპატია დაიმსახურა ხობის საზოგადოებაში. ღარიბი სცენის მოწყობილობით, ლახავენ რა ყოველგვარ დაბრკოლებებს, მოსაწონ მიზანს აღწევენ.

სდგამენ, თუმცა იშვიათად, ახლო მახლო მოზრდილ სოფლებში შინაარსიან პიესებს, ხალხიც საკმაოდ ესწრება და სურვილსაც აცხადებს, რომ ამ გვარი წარმოდგენები დრო გამოშვებით იმართებოდეს.

მაგრამ დღეს რომ ისინი მდგომარეობაში არიან, ამ მხრივ საზოგადოებას ვერ დააკმაყოფილებენ. საჭიროა ძალების ფართო ორგანიზაცია. მე არ ვგულისხმობ აქ მუდმივ დასს, რომელიც უადგილო არ იქნება გვყავდეს მთელს სამეგრელოში და ვგონებ არც ვინმე დაგვძრახავს, მაგრამ ეს მომავლის საკითხია; მე ვამბობ ამხანაგობაზე, აქაური სცენის მოყვარეების ერთმანეთთან დაახლოვებაზე და უფრო გარკვეული ნაბიჯის გადადგმაზე. ეს იქნება საფუძველი მომავალი მუდმივი დასისა, თუ ოდესმე ვეღირსეთ.

თეატრი ხალხისათვის რომ სასარგებლოა, ეს დღეს ყველასათვის ცხადია და ამაზე ლაპარაკი მეტად მიმაჩნია, მეტადრე გაზეთის ფურცელზე. დიახ, ყველამ იცის, მაგრამ ცოდნას გაშუქება უნდა.

ამიტომ მივმართავ ისევ შრომის მოყვარე ბ. ვლ. ნ-იას, ითავოს ეს საქმე და დაარსოს ჯერჯერობით დროებითი ამხანაგობა და მართოს სოფლებში უფრო ხშირი იაფ-ფასიანი წარმოდგენები. დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეში მას ყველა შეუწყობს ხელს.

ამისათვის საჭიროა მოთამაშეების რიგიანი ამორჩევა: ცუდი მოთამაშე რყვნის მაყურებელში გემოვნებას და გემართებს მოთამაშეთა ამორჩევაში დაკვირვება. ამის გარდა საჭიროა სცენის მოწყობილობის გაუმჯობესება, რისთვისაც რამდენიმე წარმოდგენის შემოსავალი საკმარისია.

უნდა იდგმებოდეს კარგი შინაარსის პიესები, აღებული უმთავრესად სოფლის ცხოვრებიდან.

რაც შეეხება მიზანს, ამ მხრით ბ. ნ-ია და მასთან ზემო დასახელებული სცენის მოყვარეები სწორედ სხვებისათვის მისაბაძი მაგალითი არიან. მათ ერთხელაც არ უზრუნვიათ თავის ჯიბის გასქელებისათვის. მართავდნენ წარმოდგენებს იმისთანა კულტურულ დაწესებულებების სასარგებლოდ, როგორნიც არიან ბიბლიოთეკა და სკოლა, აგრეთვე ღარიბ მოწაფის და წითელი ჯვრის სასარგებლოთ. ზოგჯერ უფასო წარმოდგენებიც გამართეს.

ზემო აღნიშნულ 25-ის წარმოგენამ კარგათ ჩაიარა. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

**ნ. გახარია.**

## ანგარიში

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ 23 მარტს გამართულ საღამოს შემოსავალ-გასავლისა.

**შემოსავალი.***)

ორ-ორი მანეთი შემოსწირეს: ლ. ქ. ალელოვმა, ვ. ა. აფანასიევმა, მ. ი. ივანოვმა, მ. ლ. ლორთქიფანიძემ, კ. ტ. მკურნალმა, ი. ი. პურადოვმა, კ დ. მაჭავარიანმა, ვ. ა. პალანჩივაძემ, ა. ი. კალინინმა, ვ ს. ტკაჩენკომ, ლ. ი ლევანოვსკისამ, პ. ქ. ეგოროვმა, მ. ი. ბეკ ბუზაროვმა, ს. ი. რობაქიძემ, ი. ი. ნიკოლაიშვილმა, ბ. ვ. მამოგორიამ, დ დ. ლორთქიფანიძემ, ნ დ. ნუცუბიძემ, ა. ს. თოხაძემ, გ. თ ჩუმაჩენკომ, ვ. ა. ბატლინმა, მოშიაშვილმა, კ. ბ. ლორთქიფანიძემ, ა. პ მოსიძემ, კიკნაძემ და კეზერმა, 1 მ. და 10 შაური:—კ. მ. შნეიდერმა, ს. ბ. ეფენდიევმა, ლ. ი. უუბანეიშვილისამ, ა. ლ. ლევიცკისამ, მ. გელოვანმა და სოკოლევსკისამ; 1 მ. და 2 აბაზი:—ე პ. იანოვსკისამ, ქ. ვ პეტრიაშვილმა, ა. ი. ვერესოვმა, ვ. ტ. სოლონსკისამ, ე. ი. ნივინსკისამ; 1 მანეთი:—პ. გ. წულუკიძემ, მღვდ. ს ანთაძემ, ო. გ. ხმიადაშვილმა, კ. ა. აკიევმა, ბ. ბ. გორშკოვმა, ვ. ვ. კოტლიაროვმა, ს. ა. თუმანიშვილისამ, ნ. ს. ნამიჩეიშვილმა, ლ. კ. ანტიპოვისამ, კ. ვ. პლოხოტნიკოვისამ, ა. ვ. მეგრელიძემ, რიცინსკიმ, ქუთათელაძემ, მაჭავარიანმა, ბოკერიამ, წულუკიძემ, როინიშვილმა, გამცემლიძემ, ჩიჩინაძემ, ლიხნიცკისამ, შავერზოვმა, იაშვილმა, ალიბეგოვმა, ლუკიანოვმა, სოკოლოვმა, დაშკევიჩმა, [illegible] კიმოვმა და რეიდმანმა; 10 შაური: [illegible] ხერეკაშვილმა, მოსწავლეთაგან 153 მან. 69 კაპ. სულ 889 მ. 19 კ. [illegible] ვიდა 53 მ. 84 კ. [illegible] პიროჟკებისა, ჩაისა და კანფეტების გაყიდვისაგან 56 მან. 98 კაპ. მოსწავლეთა ჩაისაგან 2 მ. 6 შაური. პროგრამებიდან 54 მ. 4 აბ., ბედის ბორბლისაგან 151 მ. 6 კ., ვახშმისაგან 186 მ. და სხვა—19 მ 10 შ. სულ 540 მ. 74 კ. სულ შემოვიდა 1429 მ. 93 კ.

*) შემდეგი. იხილე „სამშ.“ 78-ე №.

**გასავალი.**

მემუსიკეებს—20 მ., ვახშმის მოსამზადებლათ—133 მან. 48 კაპ., კუზანოვებს კამფეტ.—34 მან. 17 შ., მოსამსახურეს და სხვა წვრილმანი—19 მან. 2 აბ. სულ დაიხარჯა—207 მან. 73 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 1222 მან. და 1 აბაზი, ამ ჯამიდან სამხედრო დროის სასარგებლოთ გადადვა 10%—122 მ. გადაეცა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტს, ხოლო ქუთ. კლასიკური გიმნ. ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების კასას გადაეცა 1100 მ. და 1 აბაზი.

განკარგულებელ კომიტეტის თავჯდომარე, გიმნაზიის დირექტორი **კოტილევსკი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის ფურცელზე აღვნიშნოთ ჩვენ მიერ სამედიატორო სასამართლოს დადგენილება. სამედიატორო სამართალში გაწვეული იყო „ეშმაკის მათრახის“ კორესპონდენტი „ს“, რომელიც ცილსა სწამებდა ბ. მიშა ნიჟარაძეს—ქვედა მაღლაკის მცხოვრებს. სამედიატორო სასამართლომ ხმის უმეტესობით ცილისწამებათ მიიღო კორესპონდენტის წერილი და მ. ნიჟარაძე გაამართლა. პირობის ძალით, ბ. „ს“ მ უნდა გადაიხადოს ზედა მაღლაკის წიგნსაცავ სამკითხველოს სასარგებლოთ ხუთი მანეთი.

1. თავმჯდომარე მედიატორეთა მღვდელი **ტარასი ყუბანეიშვილი.**

მედიატორენი { **2. ვარლამ ი. ყორყოლიანი.** **3. ბარნაბა მ. ნიჟარაძე.** }

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**


**ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი აბანო.** აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს გასაკვირველად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნამენარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდი.
თ. 215

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.
— კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო დ — თ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**
წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა
**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.
იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „**კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია**“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

გ ა მ ო ვ ი დ ა და ი ყ ი დ ე ბ ა
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
**თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.**
ფ ა ს ი 60 კ ა პ. წ.